პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

29 ნოემბერი

ოთხშაბათი, 1961 წ.
№ 194 (1830)
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.



სურათზე თქვენ ხედავთ თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდის წევრს ი. ჩხიკვაძეს, რომელიც ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშედ ითვლება საბჭოთა კავშირში.

თბილისელთა ფრე

ჩვენი ქვეყნის უძლიერეს წყალბურთელთა შეჯიბრების მეორე დღეს ყველაზე საინტერესო გამოდგა თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ბურევესტნიკის“ გუნდების მატჩი. თამაშის პირველსავე წუთებზე გაჩაღდა მეტად დაძაბული ბრძოლა გამარჯვების მოპოვებისათვის. ანგარიში გახსნეს თბილისელებმა, როცა მეგედმა ზუსტად გაგზავნა ბურთი მოწინააღმდეგის კარში. სულ მალე დინამოელები ექვსნი დარჩნენ. მოსკოველებმა კარგად გამოიყენეს თავიანთი რიცხობრივი უპირატესობა და გაათანაბრეს ანგარიში. ამის შემდეგ ტერიტორიული უპირატესობა „დინამოს“ მხარეზე იყო და თბილისელთა ერთ-ერთი იერიში „ბურევესტნიკის“ კარის აღებით დამთავრდა. ბურთი გაიტანა ჩხიკვაძემ. მოსკოველებმა კვლავ გაათანაბრეს ანგარიში — 2:2, შემდეგ დინამოელები შეტევაზე გადავიდნენ და რომანოვმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი. ანგარიში ისევ გათანაბრდა— 3:3. ერთ-ერთი შეტევისას მიმინოშვილმა მიიღო გადაცემა, დაუსხლტა სტუდენტთა გუნდის მცველს და ძლიერი ტყორცნით ანგარიში გაზარდა. თამაშის დამთავრებამდე მოსკოველებმა თავი დააღწიეს დამარცხებას და ეს საინტერესო მატჩი დამთავრდა ფრედ — 4:4.

აღსანიშნავია თბილისელთა შეკარის გოგოლაძის შესანიშნავი თამაში, რომელმაც რამდენჯერმე იხსნა კარი აშკარა გოლისაგან. მან შეძლო აგრეთვე 4-მეტრიანი საჯარიმოს აღება.

ამ დღეს მოსკოვის „დინამომ“ დაამარცხა ლენინგრადის „ბალტიკა“ — 5:2, ვმფ-მა — წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის გუნდი — 4:2. ძლიერად ითამაშა ლვოვის „დინამომ“, რომელმაც დიდი ანგარიშით სძლია რსფსრ-ს „ტრუდის“ წყალბურთელებს — 6:1.

* * *

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 ნოემბრისათვის

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ვმფ	9	8	1	0	35:15	17
„დინამო“ მ.	9	7	2	0	40:18	16
„დინამო“ თბ.	9	6	1	2	29:19	13
„ბურევესტ.“ მ.	9	4	2	3	23:20	9
„დინამო“ ლვ.	9	3	1	5	22:28	7
„ბალტიკა“ ლდ.	9	0	4	5	15:30	4
„ტრუდი“ რსფსრ	9	1	2	6	16:37	4
კკფ ბაკო	9	0	2	7	22:35	2

„სინათლე“— მეოთხე რესპუბლიკაში

გუშინ სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკურ საბჭოში მივიდა სასიხარულო დეპეშა მოსკოვიდან: თბილისის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს ფიზკულტურულ კოლექტივს, რომელმაც მთელი რიგი წლების მანძილზე მოიპოვა შესანიშნავი გამარჯვებები მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობასა და სპორტში, მიენიჭა სპორტული კლუბის წოდება. ახალ სპორტულ კლუბს დაერქვა „სინათლე“.

„სინათლე“ ჩვენი რესპუბლიკის მეოთხე სპორტული კლუბია. ამიერიდან იგი „გამარჯვებასთან“, „კოლხეთთან“ და „ფეიქართან“ ერთად ღირსეულად ჩადგება ჩვენი მოწინავე სპორტული საწარმოების რიგებში და მოიპოვებს კიდევ უფრო ბრწყინვალე გამარჯვებებს თავის კეთილშობილურ საქმიანობაში მუშა-მოსამსახურეთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის გაშლისათვის.

გუშინ სპორტის სასახლეში

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა საინტერესო საერთაშორისო მატჩი კლასიკურ ჭიდაობაში. ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები.

ჩეხი მოჭიდავეები ვიდრე თბილისს ეწვეოდნენ იყვნენ უკრაინაში, ჩაატარეს ორი მატჩი, ერთი წააგეს (2:6), ხოლო მეორე დაამთავრეს ფრედ — 4:4.

საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიის მოჭიდავეთა შეხვედრა დამთავრდა 5:3 ქართველ სპორტსმენთა სასარგებლოდ.

მატჩის დაწვრილებითი ანგარიში იხილეთ შემდეგ ნომერში.

დინამოელები ბუქარესტში

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობისათვის ბუქარესტში გაემგზავრა თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი, რომელიც 5 დეკემბერს შეხვდება რუმინეთის კკა-ს.

სსრ კავშირის XXIX საჭადრაკო ჩემპიონატზე ბაკოში გათამაშდა მე-8 ტური. ბრძოლამ მეტად დაძაბული ფორმები მიიღო, რაც ყველაზე უფრო გამომეღავნდა სპასკი-პოლუგაევსკის შეხვედრაში. სპასკიმ თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა, მაგრამ პოლუგაევსკიმ მას ზუსტი დაცვა დაახვედრა და ერთხანს მდგომარეობა თითქმის საყაიმოც იყო. შემდეგ სპასკიმ მინიმალური უპირატესობა რეალობად აქცია და მორიგი გამარჯვება მოიპოვა.

გურგენიძე-ლეინის პარტიაში საქართველოს წარმომადგენელს მოგების შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ცაიტნოტში მოხვდა და დაკარგა ფიგურა. პარტია გადაიდო, სადაც მდგომარეობა ჯერ კიდევ გაურკვეველია.

კოცმა დაამარცხა შიანოვსკი. ბაგიროვ-გიპსლისის, ხასინ-ბრონშტეინისა და შამკოვიჩ-კერესის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადადებულია.

8 ტურის შემდეგ 6,5 ქულით წინ იყო ბ. სპასკი, ხოლმოვს ჰქონდა 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, შამკოვიჩს — 5,5 ქულა.



სურათზე: შეჯიბრების დარბაზის საერთო ხედი.

ფოტო მ. პოდლობუხოვისა.

რეგერვის სათანადო მომზადებისათვის

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა ერთობლივად განიხილეს საკითხი საქართველოს სკოლების მოსწავლეთა XIII სპარტაკიადისა და VII საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის შესახებ.

გასულ სპარტაკიადებზე მრავალ მიღწევასთან ერთად ბევრი ნაკლოვანებაც გვქონდა. ახლა, როცა უკვე მზადება უნდა დავიწყოთ ისეთი დიდი ღონისძიებებისათვის, როგორიცაა საქართველოს სკოლების მოსწავლეთა XIV სპარტაკიადა, მოსწავლეთა საკავშირო ზონალური სპარტაკიადა (ტარდება ვილნიუსში) და პიონერთა საკავშირო თამაშები (ტარდება მოსკოვში), განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ზემოაღნიშნული ორგანოების ერთობლივ დადგენილებას მოსწავლეთა შორის სპორტული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. აღნიშნული დადგენილება სკოლების ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებისაგან, მწვრთნელებისაგან, ყველა მათგან, ვისაც ბავშვთა შორის სპორტული მუშაობის გაშლასთან აქვს საქმე, მოითხოვს მოსწავლეთა შორის სასწავლო-სპორტული და საწვრთნელი მუშაობის ახალი ამოცანების სიმაღლეზე დაყენებას. ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებმა და მწვრთნელებმა უნდა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ამ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სპორტის ჩამორჩენილ სახეობებში მუშაობას, აგრეთვე გოგონათა ფართოდ ჩაბმას სპორტში.

აღნიშნული დადგენილებით იკრძალება სათანადო ნებართვის გარეშე მოსწავლეთა მონაწილეობა მოზრდილთა გუნდებში, მათი გადასვლა სპორტსაზოგადოებათა გუნდებში. ახლა მთელი ყურადღება უნდა გადატანილ იქნას იმაზე, რომ განათლების ორგანოებმა აქტიური დახმარება გაუწიონ და სათანადო კონტროლის ქვეშ დააყენონ ბავშვთა სპორტული სკოლები, უნდა გადაჭრით გაუმჯობესდეს საწვრთნელი მუშაობა, შევამოწმოთ მათი საქმიანობა და შემოწმების შედეგები ფედერაციათა სხდომების მსჯელობის საგნად გავხადოთ. უნდა გადაისინჯოს სპორტული სკოლების დისლოკაცია და სპორტული პროფილები. პირველ რიგში საჭიროა ჩამოყალიბდეს ჯგუფები სპორტის ისეთ სახეობებში, რომლებიც განათლების ორგანოების ბავშვთა სპორტულ სკოლებში არ არსებობენ, სპორტული სკოლები კი გაიხსნას იმ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც არა გვაქვს. გარდა ამისა, დადგენილებით გათვალისწინებულია თბილისის განათლების განყოფილებასთან 1962 წელს დამოუკიდებელი ბავშვთა სპორტული სკოლის შექმნა საწყლოსნო სახეობებში.

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია 1961-1964 წლებისათვის

ციგურებით ფიგურული სრიალი

სათანრიგო მოთხოვნები

ვაჟები და ქალები

სპორტის ოსტატი — დააგროვოს შესაძლებელ ქულათა 75 პროცენტი სპორტის ოსტატის პროგრამის შესრულებისათვის სავალდებულო ვარჯიშებში და 80 პროცენტი ნებისმიერ ციგურაობაში საბჭოთა კავშირის, რსფსრ-ს, მოსკოვისა და ლენინგრადის, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ცენტრალური საბჭოების პირველობებზე, აგრეთვე ნ. ა. პანინის სახელობის პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში.

I თანრიგი — დააგროვოს შესაძლებელ ქულათა 65 პროცენტი I სპორტული თანრიგის პროგრამის შესრულებისათვის სავალდებულო ვარჯიშებში და 70 პროცენტი ნებისმიერ ციგურაობაში არანაკლებ საქალაქო მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებებში.

II თანრიგი — დააგროვოს შესაძლებელ ქულათა 55 პროცენტი II სპორტული თანრიგის პროგრამის შესრულებისათვის სავალდებულო ვარჯიშებში და 65 პროცენტი ნებისმიერ ციგურაობაში რომელიმე ოფიციალურ შეჯიბრებაში.

III თანრიგი — დააგროვოს შესაძლებელ ქულათა 55 პროცენტი III სპორტული თანრიგის პროგრამის შესრულებისათვის სავალდებულო ვარჯიშებში და 55 პროცენტი ნებისმიერ ციგურაობაში რომელიმე ოფიციალურ შეჯიბრებაში.

მოზარდთა I თანრიგი — დააგროვოს შესაძლებელ ქულათა 55 პროცენტი მოზარდთა I თანრიგის პროგრამის შესრულებისათვის სავალდებულო ვარჯიშებში და 60 პროცენტი ნებისმიერ ციგურაობაში რომელიმე ოფიციალურ შეჯიბრებაში.

მოზარდთა II თანრიგი — დააგროვოს შესაძლებელ ქულათა 55 პროცენტი მოზარდთა II თანრიგის პროგრამის შესრულებისათვის სავალდებულო ვარჯიშებში და 55 პროცენტი ნებისმიერ ციგურაობაში რომელიმე ოფიციალურ შეჯიბრებაში.

წყვილთა ციგურაობა

სპორტის ოსტატი — დააგროვოს ქულათა 90 პროცენტი პროგრამის შესრულებისათვის საბჭოთა კავშირის, რსფსრ-ს, მოსკოვისა და ლენინგრადის, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ცენტრალური საბჭოების პირველობებზე, აგრეთვე ნ. ა. პანინის სახელობის პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში.

I თანრიგი — დააგროვოს შესაძლებელ ქულათა 80 პროცენტი I თანრიგის პროგრამის შესრულებისათვის არანაკლებ საქალაქო მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებებში.

II თანრიგი — დააგროვოს შესაძლებელ ქულათა 70 პროცენტი II თანრიგის პროგრამის შესრულებისათვის ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებაში.

შენიშვნა: III და მოზარდთა თანრიგები წყვილთა ციგურაობაში არ ენიჭება.

წყვილთა სპორტული ცეკვები

I თანრიგი — დააგროვოს შესაძლებელ ქულათა 66 პროცენტი სავალდებულო ცეკვებში და 66 პროცენტი ნებისმიერ ცეკვებში არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებაზე.

II თანრიგი — დააგროვოს შესაძლებელ ქულათა 66 პროცენტი სავალდებულო ცეკვებში და 55 პროცენტი ნებისმიერ ცეკვაში რომელიმე ოფიციალურ შეჯიბრებაში.

III თანრიგი — დააგროვოს შესაძლებელ ქულათა 55 პროცენტი სავალდებულო ცეკვებში ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებაზე.

თანრიგის დასამტკიცებლად

—შეასრულოს იგივე მოთხოვნები. სპორტსმენს, რომელიც შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს მაღალი თანრიგის პროგრამით და ამასთან დააგროვებს თავისი თანრიგისათვის შესაბამის ქულათა რაოდენობას, ეთვლება თანრიგის დამტკიცება.

მაღალი სპორტული თანრიგი ენიჭება უახლოესი დაბალი თანრიგის მქონე სპორტსმენს.

სათანრიგო მოთხოვნების შესრულების პირობები

სათანრიგო მოთხოვნები შესრულებულად ჩაითვლება მსაჯთა კოლეგიის მიმართ შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა) ოსტატთა თანრიგისათვის: მთავარი მსაჯი და მისი მოადგილე უნდა იყვნენ არანაკლებ რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯები; შემფასებელ მსაჯთა ბრიგადა: საკავშირო კატეგორიის — ერთი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის — არანაკლებ სამისა, I კატეგორიის არაუმეტეს სამი მსაჯისა.

ბ) I თანრიგისათვის: მთავარი მსაჯი უნდა იყოს არანაკლებ რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი; შემფასებელ მსაჯთა ბრიგადა: რესპუბლიკური კატეგორიის — ერთი მსაჯი, I კატეგორიის — არანაკლებ სამისა, II კატეგორიის — ერთი მსაჯი.

გ) II თანრიგისათვის: მთავარი მსაჯი უნდა იყოს არანაკლებ I კატეგორიის მსაჯი; შემფასებელ მსაჯთა ბრიგადა: I კატეგორიის — ერთი მსაჯი, II კატეგორიის — არანაკლებ ორისა, III კატეგორიის — არაუმეტეს ორი მსაჯისა.

დ) მესამე და მოზარდთა თანრიგებისათვის: მთავარი მსაჯი უნდა იყოს I კატეგორიის მსაჯი; შემფასებელ მსაჯთა ბრიგადა: II კატეგორიის — არანაკლებ ორისა, III კატეგორიის არაუმეტეს სამი მსაჯისა.

თანრიგის მინიჭებისათვის სპორტსმენმა წლის განმავლობაში მო[illegible] უნდა მიიღოს შემდეგი რაოდენობის შეჯიბრებებში: სპორტის ოსტატი — 5-ჯერ, I თანრიგი — 5, II თანრიგი — 4, III თანრიგი — 3, მოზარდთა თანრიგები — 3-ჯერ.

ჭაბუკები და გოგონები შეჯიბრებებში მონაწილეობენ მათთვის დადგენილი საკლასიფიკაციო პროგრამით:

12-13 წლისანი — მოზარდთა II თანრიგის პროგრამით,

13-14 წლისანი — მოზარდთა I თანრიგის პროგრამით.

ჭაბუკები და გოგონები, რომლებიც შეასრულებენ მოზარდთა I თანრიგის მოთხოვნებს, შეიძლება დაიშვნენ მოზრდილთა შეჯიბრებებზე: II თანრიგის პროგრამით — 14 წლიდან, I თანრიგის პროგრამით—15 წლიდან, სპორტის ოსტატის პროგრამით — 16 წლიდან.

შენიშვნა: 1. სპორტული სექციებისა და სპორტული სკოლებისათვის, რომლებიც ვარჯიშებს ატარებენ ხელოვნურ საციგურაოებზე, ასაკობრივი მოთხოვნები ჭაბუკებისა და გოგონებისათვის შეიძლება შემცირდეს ერთი წლით.

2. ციგურებით ფიგურული სრიალის საბჭოთა კავშირის ფედერაციის პრეზიდიუმის ნებართვით საკავშირო შეჯიბრებებზე ოსტატთა და I თანრიგის პროგრამით შეიძლება პერსონალურად დაიშვნენ ჭაბუკები და გოგონები შესაბამისად 15 და 14 წლის ასაკიდან.

ტურისტულ ბილიკებზე

ნოემბრის პირველ ნახევარში თბილისის ავტომატიზაციისა და ხელსაწყოთმშენებლობის საკვლევი ინსტიტუტის ტურისტულმა სექციამ მოაწყო 4-დღიანი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: თბილისი-მცხეთა (მანქანით) — შიო მღვიმე-საგურამო- ზედაზენი (ფეხით)-თბილისი.

ჯგუფმა კარგად გაიარა მარშრუტი, რომლის დროსაც ჯგუფის წევრებს მოუხდათ 3 ღამისთევა კარვებში. ლაშქრობას წინ უძღოდა მოსამზადებელი საუბრები: „მთაში სიარულის წესები", „როგორ გავშალოთ კარავი", „წვიმაში კოცონის დანთება", „საჭმლის დამზადება ლაშქრობაში" და სხვ. სპორტსმენებმა პრაქტიკულად გამოიყენეს ინსტიტუტში მოსმენილი საუბრები.

ჩვენს ინსტიტუტში ტურიზმის სექციას საფუძველი ჩაეყარა წლევანდელ გაზაფხულზე, როცა მოვაწყეთ 4-დღიანი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: თბილისი-ბაკურიანი (მანქანით)-გორი (ფეხით)-თბილისი (მანქანით). ჩამოსვლისთანავე გამოვუშვით ფოტო-გაზეთი, სადაც ასახული იყო ლაშქრობის მომენტები. გაზეთის გამოშვების შემდეგ სექცია საგრძნობლად გაიზარდა და მასში ახლა 76 წევრია გაერთიანებული. მას შემდეგ არ ყოფილა შემთხვევა, რომ კვირადღე ქალაქში გაგვეტარებინოს. გავდიოდით ქალაქგარეთ, ვტკბებოდით ბუნების სილამაზით, ვსწავლობდით საქართველოს ისტორიულ ძეგლებს. ახლა სექციის ყოველ წევრს შეუძლია დამოუკიდებლად კარვის გაშლა, საჭმლის მომზადება, ღამისთევის ადგილის შერჩევა და უფრო მეტიც—ახლა თვითეულ მათგანს შეუძლია უხელმძღვანელოს ჯგუფს.

დადგა შემოდგომა, აცივდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ სექციის მუშაობა შეწყდება. განზრახული გვაქვს იანვარში მოვაწყოთ გადასვლა თხილამურებით ბაკურიანი-ერევანი.

გ. ქათამაძე,
ტურიზმის ინსტრუქტორი, მათემატიკოსი.

სურათზე: თ. ნონიაშვილი იღებს სტარტს.

კვლავ „ღია სტარტზე"

კვირას თბილისის საცურაო აუზში განმეორებით მოეწყო შეჯიბრება „ღია სტარტზე". წინა ღონისძიებებისაგან განსხვავებით ამჯერად მონაწილეთა გაცილებით მეტმა რაოდენობამ მოიყარა თავი. ამასთან სპორტსმენები ძალებს სცდიდნენ რამდენიმე სტილით. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ შეხვედრები არ ჩატარდა სტაიერულ დისტანციებზე.

ეს შეჯიბრება მიზნად ისახავდა ძალთა ერთგვარ შემოწმებას ბაქოელ მოცურავეებთან მატჩის წინ, ვერ ვიტყვით ლ. კრილოვას, ი. გორდიენკოს, ი. ბინიუკოვის, ბ. ნიკიტინის, გ. კარბუკოვისა და ე. ვოიტკევიჩის შესახებ. და ეს სწორედ ის სპორტსმენებია, რომლებიც დეკემბრის პირველ რიცხვებში გაიმართება. ნაჩვენები იქნა რამდენიმე დამაკმაყოფილებელი შედეგი. ასე მაგალითად, 100 მეტრზე ბრასის სტილით ვაჟთა შეჯიბრებაში მეორე ადგილი მოიპოვა 12 წლის ვ. ბერიძემ, რომელიც გამარჯვებულს — თ. ნონიაშვილს მხოლოდ მცირედით ჩამორჩა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შეჯიბრებაზე მონაწილეობა არ ითაკილეს ნაკრების წევრებმაც, რასაც ერთი კვირის შემდეგ მოუხდებათ თბილისის სპორტული ღირსების დაცვა.

ვაჟთა შორის 100 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვა მოიგო ვ. ბოგდანოვმა — 1.04,4. ქალთა შორის ფინიშთან პირველი იყო ა. მორგუნენკო. თავი ისახელა ვ. ჯანჯუგაზოვმა, რომელმაც არავის დაუთმო პირველობა 200 მეტრზე დელფინის სტილით ცურვაში. ქალთა შორის 100 მეტრზე ამავე სტილით უძლიერესი აღმოჩნდა ე. ღიბრაძე. ი. ამნიაშვილმა პირველმა დაამთავრა ქალთა შეჯიბრება 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, ხოლო ბ. კულჩიცკაიამ მოიგო 200 მეტრზე ბრასით ცურვა.

ბ. კამენსკი

ბათუმში, ქალაქის სპორტსკოლის დარბაზში მიმდინარეობდა საქართველოს პირველობა კალათბურთში საშუალო ასაკის მოსწავლეთა შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდა გოგონათა და ჭაბუკთა 14 გუნდი.

გოგონათა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისის გუნდი, რომელმაც ფინალში დაამარცხა ბათუმელთა კოლექტივი. მესამე ადგილი წილად ხვდათ მახუნცეთის (ქედის რაიონი) სკოლა-ინტერნატის კალათბურთელებს.

მწვავედ წარიმართა ფინალური ასპარეზობა თბილისისა და ბათუმის ჭაბუკებს შორის. თბილისელები გამარჯვებულნი გამოვიდნენ ამ ბრძოლაში და მოიპოვეს პირველი ადგილი.

სურათებზე: თბილისის გოგონათა და ჭაბუკთა გუნდები.

ფოტო პ. კებაბჩიანისა.

ერთი ადგილით წინ

მიმდინარე წლის გაზაფხულზე როსტოვში ქალაქების მატჩში პირველად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მძლეოსნები, ხუნი კიევისა და როსტოვის შემდეგ მე-3 ადგილზე გამოვიდნენ, ეი 25-26 ნოემბერს 4 ქალაქის გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე. ამჯერად როსტოველთა ადგილი ხარკოველებმა დაიკავეს. ზოგიერთ სახეობაში კონკურსსგარეშე გამოდიოდნენ ერევნის მძლეოსნებიც.

ყოველ გუნდს 2-2 სპორტსმენი გამოჰყავდა ცალკეულ სახეობაში. მატჩი გახსნეს სპრინტერებმა. ვაჟთა და ქალთა 100 მეტრზე რბენის შემდეგ წინ იყვნენ თბილისელები, რომლებიც 3 ქულით უსწრებდნენ უახლოეს კონკურენტს — კიევის გუნდს. ქალთა შორის ფინიშთან პირველი იყო კიეველი გ. მელნიკი — 12,4, მაგრამ მომდევნო ადგილები თბილისელებმა ბ. ბურლაკოვამ და ნ. ნოზაძემ მოიპოვეს. ვაჟებში აშკარა იყო ე. ლომთაძის უპირატესობა (10,6), რომელმაც 0,1 წამით მიასწრო ფინიშთან ვ. ოსტაპენკოს (კიევი).

თარჯრბენმა 110 მეტრზე უპირატესობა პირად ჩათვლაში კვლავ თბილისელ მძლეოსანს მოუტანა — გ. გვინჩიძემ აჩვენა 15,2 წამი, მაგრამ გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ უკრაინელები და წინ გავიდნენ 4,5 ქულით. 400 მეტრზე ვაჟთა და ქალთა რბენის, აგრეთვე ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გამარჯვების სასწორი კვლავ თბილისელთა მხარეს გადაიხარა.

უპირატესობა გუნდურ ჩათვლაში თბილისის მძლეოსნებმა შეინარჩუნეს შუბის ტყორცნაშიც, სადაც გამარჯვებულმა ვ. გოროვოიმ (კიევი) აჩვენა 67,99 მ, ხოლო მესამე ადგილის მფლობელმა კ. გორძემაშვილმა — 66,24 მ.

ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომაში რ. ქოჩაკიძე არ მონაწილეობდა, რამაც გამარჯვება საგრძნობლად გაუადვილა კიეველ ვ. ზვანკოვს — 7,14 მ. კიეველებს — ტ. ზავგოროდნაიასა (11,6 წ.) და ვ. შაბლენკოს (48,78 მ) დარჩათ გამარჯვება 80 მ, თარჯრბენსა და ვაჟთა შორის ბადროს ტყორცნაში, რის შედეგად თბილისელები 0,5 ქულით ჩამორჩნენ ძირითად კონკურენტს, მაგრამ ეს იყო ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში შეჯიბრების დამთავრებამდე. აქ გაიმარჯვა თბილისელმა ლ. ვოლოშინამ — (5,57 მ) და გუნდს 123,5 ქულა აღმოაჩნდა კიეველთა 115 ქულის წინააღმდეგ.

ბრძოლაში ჩაებნენ 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენის მონაწილენი, თბილისელ სპორტის მოყვარულებს ალბათ ახსოვთ საკავშირო პირველობაზე ჩვენი მძლეოსნების წარუმატებლობა ამ სახეობაში. ასე იყო ახლაც. ვ. კომაროვმა და დ. ლეკიშვილმა მხოლოდ VI და VIII ადგილების მოპოვება შეძლეს, რის შემდეგ კიეველებს მიეცათ საშუალება კიდევ ერთხელ, საბოლოოდ დაწინაურებულიყვნენ.

პირველ დღეს კიეველებმა მოიგეს ქალთა შორის ბირთვის კვრა (ლ. შახვოროსტოვა — 14,72 მ), ხოლო ხარკოველები პირველნი იყვნენ 1500 მეტრზე რბენასა (ვ. დეპუტატოვი — 4.03,0) და ვაჟთა ესტაფეტაში 4×100 მეტრზე. მხოლოდ ერთ შემთხვევაში ხვდათ პირველობა წილად თბილისელებს, როცა ქალთა ესტაფეტაში 4×100 მეტრზე კიეველებს მკერდით მიასწრეს ფინიშთან (თბილისის ვაჟებმა ესტაფეტაში დაიკავეს II ადგილი). პირველი დღის შემდეგ კიეველ მძლეოსანთა უპირატესობა ქულებში ერთეულებს არ ცოლდებოდა.

შეჯიბრების მეორე დღეს შედარებით უკეთესი ამინდი იყო და შედეგებიც გაცილებით უკეთესი მთელ რიგ სახეობებში. 13 სახეობიდან რვაში უპირატესობა კიეველთა მხარეს იყო, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა გამარჯვების ბედი მათ სასარგებლოდ. მხოლოდ 2 სახეობა მოიგეს თბილისელებმა და სამიც ხარკოველებმა.

ამ დღეს განსაკუთრებით საინტერესო იყო ვაჟთა რბენა 200 მეტრზე, სამხტომი და ბირთვის კვრა. სამივე სახეობაში ყველა პრიზიორმა აჩვენა პირველ თანრიგზე უკეთესი შედეგი, ამასთან სამხტომში უძლიერესმა ვ. ჩხეიძემ მხოლოდ არასწორი არეკნის გამო დაკარგა რესპუბლიკური რეკორდის დამყარების შესაძლებლობა.

ორი თბილისელი — ო. გოშაძე და მ. ოყროშიძე მოხვდა ბირთვის მკვრელთა უძლიერეს სამეულში და ორივე პირველი თანრიგის შედეგით, პირველმა აჩვენა 15,32 მ, ხოლო მეორემ — 15,16 მ. გამარჯვებულ ვ. შაბლენკოს (კიევი) შედეგია 16,66 მ.

თავის შესაძლებლობებზე აშკარად დაბალი შედეგებით დაამთავრა შეჯიბრება ი. მხეიძემ, რომლის მაჩვენებელი ქალთა შორის ბადროს ტყორცნაში არ გასცილებია 43,46 მეტრს (II თანრიგი). იგივე ითქმის სპორტის ოსტატ ლ. პატარიძეზე, რომელმაც სიმაღლეზე ხტომაში მხოლოდ 145 სმ დაძლია.

მძლეოსანთა ამ ნაგვიანევი სტარტის მიუხედავად, 40-მდე სპორტსმენმა აჩვენა პირველ თანრიგზე მაღალი შედეგი, ეს საკმაოდ კარგი შედეგია თუ გავიხსენებთ, რომ მონაწილე გუნდები ძირითადად დაკომპლექტებული იყო ახალგაზრდებით, ისეთი სპორტსმენებით, რომლებსაც მოუხდებათ თავიანთი გუნდების ინტერესების დაცვა ხალხთა მორიგ სპარტაკიადაზე.

შეჯიბრებებზე დაწესებული იყო სპეციალური პრიზი საუკეთესო შედეგებისათვის. ქალთა შორის იგი მოიპოვა ბირთვის კვრაში გამარჯვებულმა ლ. შახვოროსტოვამ (კიევი) — 14,72 მ, ხოლო ვაჟებში — ვ. ჩხეიძემ, რომელმაც მოიგო სამხტომი — 15,62 მ.

პირველ ადგილზე გუნდურ ჩათვლაში გამარჯვეს კიეველებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ თბილისელ მძლეოსნები, მესამეზე — ხარკოველები.

ლ. თუზიშვილი,
ო. გელაშვილი.

პირადი პირველობის სხვა ტექნიკური შედეგები ასეთია: **ქალები:** რბენა 200 მ — ბ. ბურლაკოვა (თბილისი) — 26,4; 400 მ — ნ. კორუშკო (კიევი) — 1.00,2; ბადროს ტყორცნა — ლ. შახვოროსტოვა (კიევი) — 45,40 მ; შუბის ტყორცნა — ა. შიბაევა (კიევი) — 42,94 მ; სიმაღლეზე ხტომა — ე. შაბლენკო (კიევი) — 155 სმ.

ვაჟები: რბენა 200 მ — ვ. სლომჩანსკი (ხარკოვი) — 22,1; 400 მ — ვ. შჩეტინა (ხარკოვი) — 49,3; 800 მ — ა. ნოსენკო (კიევი) — 1,57,2; 5000 მ — ვ. დეპუტატოვი — 15.03,6; 3000 მ დაბრკოლებებით — ფ.სბუროვი (კიევი) — 9.29,6; 400 მ თარჯრბენი — რ. ოტრობიანკოვი — (კიევი) — 54,7; სპორტული სიარული 10 კმ ა. შტანევი (კიევი) — 45.49,4; ურის ტყორცნა — ნ. კომისაროვი (კიევი) — 52,74; ჭოკით ხტომა — ვ. შულგა (ხარკოვი) — 4,30 მ.

* * *

სურათზე: 1.500 მეტრზე რბენის მონაწილენი გაუდგნენ გზას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

შედგა ორი უკანასკნელი მატჩი საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში ფინალური ჯგუფის გუნდებს შორის.

ქუთაისის „იმერეთმა“ თავის მინდორზე მიიღო ზუგდიდის „ოდიში“. მიუხედავად მძიმე, ტალახიანი გრუნტისა, თამაში საინტერესო გამოდგა. ქუთაისელთა ერთ-ერთი შეტევისას „ოდიშის“ მეკარეს ხელიდან გაუვარდა აღებული ბურთი და იგი მასპინძელთა მიერ დაუყოვნებლივ იქნა გატანილი კარში. ბრძოლა მეორე ტაიმში კიდევ უფრო გამწვავდა, მაგრამ ანგარიში 1:0 „იმერეთის“ სასარგებლოდ მატჩის ბოლომდე აღარ შეცვლილა.

„იმერეთს“ კიდევ ერთი შეხვედრა ჰქონდა მახარაძეში ადგილობრივი „სიხარულის“ წინააღმდეგ. პირველი ბურთი გაიტანეს მასპინძლებმა. მაგრამ მალე ხელთ აიღეს ინიციატივა ქუთაისელებმა, რომლებიც შესვენებისათვის უკვე წინ იყვნენ ანგარიშით 2:1. მეორე ტაიმში „იმერეთის“ უპირატესობა საგრძნობლად გაიზარდა და 5:1-ს მიაღწია, მაგრამ „სიხარულმა“ შეძლო 2 ბურთის გაქვითვა და მატჩი დამთავრდა ქუთაისელთა გამარჯვებით — 5:3.

საქართველოს სსრ 1961 წლის პირველობის გათამაშების საბოლოო ცხრილი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„გურია“ (ლანჩხუთი)	10	6	3	1	28:17	15
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	10	4	4	2	23:25	12
„იმერეთი“ (ქუთაისი)	10	4	2	4	18:17	10
„ოდიში“ (ზუგდიდი)	10	3	3	4	22:18	9
„მეშახტე“ (ტყიბული)	10	2	4	4	11:12	8
„სიხარული“ (მახარაძე)	10	2	2	6	13:26	6

მათი მოთხოვნა სამართლიანია

ფარიკაობაში საქართველოს თასის გათამაშების მეორე დღემ ბევრი საინტერესო ბრძოლის მოწმე გახადა ფიზკულტურის ინსტიტუტის დარბაზში შეკრებილი მრავალრიცხოვანი მაყურებელი. სსრ კავშირის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა ესპადრონში ნ. ასათიანმა თავის შესაძლებლობაზე დაბლა ჩაატარა ტურნირი და ნახევარფინალში დამარცხება განიცადა ა. გოგელიასთან შეხვედრაში — 6:10. ფინალის მეორე მონაწილე გამოავლინა ჯ. გოგაძისა და მ. სახვაძის ორთაბრძოლამ, რომელიც უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა — 10:3.

ა. გოგელია პირველობასთან სულ ახლოს იყო, მაგრამ შემტევი სტილი, რომელმაც მას გამარჯვება მოუტანა ნ. ასათიანთან შეხვედრაში, საბედისწერო გამოდგა მ. სახვაძის წინააღმდეგ. მ. სახვაძეს განსაკუთრებით ძლიერი აქვს ტემპური მოძრაობები. ეს ვერ გაითვალისწინა ა. გოგელიამ და თითქმის ერთიდაიგივე საპასუხო მოძრაობით მიყენებული ჩხვლეტების მსხვერპლი გახდა — 8:10. თასს, რომელსაც სამი წლის განმავლობაში ზედიზედ ფლობდა ნ. ასათიანი, მ. სახვაძის სახით ახალი პატრონი გაუჩნდა. ასათიანი მესამე ადგილზეა.

რაპირისტ ვაჟთა შეხვედრაში თავი ისახელა ქუთაისის ერთადერთმა წარმომადგენელმა ა. ბობოხიძემ, რომელიც შეჯიბრებაზე საკუთარი ინიციატივითა და ხარჯით ჩამოვიდა. ახალგაზრდა პირველთანრიგოსანმა ფინალამდე თბილისელი მოწინააღმდეგეები ჩამოიცილა და ბოლოს შეხვდა სსრ კავშირის თასის მფლობელ ი. ოსიპოვს. დასაწყისში იგი დაწინაურდა კიდეც, მაგრამ ოსიპოვის გამოცდილებამ თავისი გაიტანა. ბრძოლა უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა — 10:6. მესამე ადგილზე გამოვიდა სპორტის ოსტატი გ. ანდრიაძე.

შეჯიბრების დასასრულს ჩვენ ვესაუბრეთ ი. ოსიპოვს, ნ. ასათიანს, მ. სახვაძესა და სხვებს, რომლებმაც თავიანთი გულისტკივილი გაგვიზიარეს საფარიკაო დარბაზის უქონლობის გამო.

— ჩვენს ინსტიტუტში, — გვითხრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელმა ი. ოსიპოვმა, — არის ფარიკაობის სექცია, მაგრამ იგი ახალბედებითაა დაკომპლექტებული. მე შემიძლია მათ ვასწავლო რამე ახალი, მათგან კი ვერაფერს შევიძენ. იძულებული ვარ ვიარო ფიზკულტურის ინსტიტუტში მწვრთნელ შ. დარასელიასთან გაკვეთილების მისაღებად. გაკვეთილი კი პარტნიორთან დამუშავების გარეშე თავის მნიშვნელობას კარგავს.

რესპუბლიკის წამყვანი სპორტსმენები გაბნეული არიან სხვადასხვა სასწავლებლებსა და დაწესებულებებში, მათი თავმოყრა კი დარბაზის უქონლობის გამო ვერ ხერხდება. ჩვენ იძულებული ვართ შედარებით ყველაზე უფრო მსხვილ ბირთვს — უნივერსიტეტში შეკრებილ მოფარიკავეებს დავუკავშირდეთ ხოლმე, თუმცა ესეც ეპიზოდურად ხდება. საღამოობით ფარიკაობისათვის განკუთვნილი საათები არ არის და ხშირად ვეკედლებით კალათბურთელებს ან ფრენბურთელებს და მათი თამაშის დასასრულს ან დაწყებამდე ვახერხებთ ფარიკაობის ელემენტების ნაწილობრივ დამუშავებას.

ჩვენი მოფარიკავეები ღირსეულად იცავენ რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე. საჭიროა საქართველოს სპორტკავშირმა გაითვალისწინოს მათი სამართლიანი მოთხოვნა და მინიმალური პირობები მაინც შეუქმნას ნაკრების წევრებს ერთად სავარჯიშოდ.

გ. სამსონაძე



★

მ. სახვაძეს ბევრი იცნობს ჩვენს რესპუბლიკაში, როგორც კარგ მოფარიკავეს, რომელსაც არაერთხელ უსახელებია თავი საკავშირო სარბიელზე. იგი რესპუბლიკური ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი სპორტსმენია.

სურათზე: მ. სახვაძე შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ამოწმებს ია-რაღს, რომელმაც მას გამარჯვება მოუტანა.

☆

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 194 1830

...ეკითხეთ!

ძმები ზ. და მ. ზერაკიძეები, გ. ცინცაძე გვთხოვენ მოვუთხროთ ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელის ვალდირ პერეირას (დიდი) შესახებ.

ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი სტენლი მეტიუზი წერდა: „საჭიროა თამაში ისეთი სისწრაფით, რომ ბურთზე კონტროლი არ დაკარგო. ამაზე უფრო სწრაფი თამაში საჭირო აღარ არის“. მეტიუზის ამ სიტყვებს ხშირად იშველიებენ ხოლმე, როცა დღეს ასეთი დიდი ჯამათია ატეხილი ბრაზილიაში იმის ირგვლივ, კვლავ შეიყვანონ თუ არა ეროვნულ ნაკრებში ვალდირ პერეირა (დიდი). თუ მისი მოწინააღმდეგეები მიუთითებენ გამოჩენილი ოსტატის ხანდაზმულობაზე და სისწრაფის დაკარგვაზე, დიდის მომხრეები სულ სხვა საბუთებს იშველიებენ.

ევროპელმა სპეციალისტებმა დიდი პირველად იხილეს 1954 წელს შვეიცარიაში, მსოფლიოს V ჩემპიონატზე. ბერლინის რადიოს ცნობილი მიმომხილველი ვ. ოერტელი თავის საინტერესო წიგნში „რადიოთი მთელს მსოფლიოში“ ლაპარაკობს იმ შთაბეჭდილებაზე, რომელიც მოახდინა ამ შავკანიანი ვირტუოზის თამაშმა. ბრაზილიის მაშინდელი გუნდი ნამდვილი „ვარსკვლავებისაგან“ შედგებოდა, მაგრამ ისინი ზედმეტად ინდივიდუალურად თამაშობდნენ და ნაკლებად ესმოდათ ერთმანეთისა. დიდის ცდებს, მოეხდინა კოლექტიური თამაშის ორგანიზაცია, შედეგი არ მოჰყოლია. სწორედ ეს იყო შვეიცარიაში ბრაზილიელთა მარცხის მთავარი მიზეზი. სამაგიეროდ, მსოფლიოს VI ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ევროპაში ბრაზილიელთა სულ სხვაგვარი გუნდი ჩამოვიდა. 11 „ვარსკვლავს“ ამჯერად საუცხოოდ ესმოდა ერთმანეთისა, ხოლო კომბინაციური თამაშის სული და გული სწორედ დიდი იყო. დიდი სამშობლოში დაბრუნდა, როგორც ეროვნული გმირი, მაგრამ შემდგომში ვერ გაუძლო ცთუნებას, დაეხარბა „რეალის“ პატრონის ს. ბარნაბეუს ოქროებს და ესპანეთში გადაბარგდა.

ესპანეთში გატარებული პერიოდი ყველაზე უფერულია დიდის ხანგრძლივ სპორტულ კარიერაში. აქ ბრაზილიელი ფეხბურთელი ვერ შეეწყო დი სტეფანოსა და „რეალის“ დანარჩენ „ვარსკვლავებს“. ის ფუნქციები, რომელსაც დიდი ჩვეულებრივ ასრულებს, „რეალში“ აკისრია დი სტეფანოს. დადგა საკითხი არჩევანის შესახებ ამ ორ გამოჩენილ ოსტატს შორის.

„რეალის“ ხელმძღვანელობამ დი სტეფანო არჩია, ამიტომ, დიდის ჯერ მისთვის სრულიად მეუფერული ადგილი მიუჩინეს „რეალის“ სათადარიგო შემადგენლობაში. შემდეგ კი საქმე იქამდეც მივიდა, რომ ბრაზილიური ფეხბურთის სიამაყე სხვა გუნდებს „ათხოვეს“. ყოველივე ამან ფეხბურთის გულშემატკივარი ... რთა ნამდვილი აღშფოთება გამოიწვია. ბრაზილიელ ... მათ საყვედურებით აავსეს რიო-დე-ჟანეიროს კლუბ „ბოტაფოგო“, რომელმაც ესპანელებს დროებით ბრაზილიელთა „შავი ლომები“ — ამ კლუბის ხელმძღვანელობას ისღა დარჩენოდა, თავი გამოედო და დიდი ვადაზე ადრე დაებრუნებინა სამშობლოში, თუმცა საბოლოოდ მას დიდი ჯარიმის გადახდა დასჭირდა. რიო-დე-ჟანეიროს აეროპორტში დიდის საზეიმო შეხვედრა მოუწყეს.

მომდევნო წელს დიდიმ ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში იმოგზაურა ევროპაში და კვლავ საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა. „ბარსელონამ“ და ესპანეთის სხვა კლუბებმა კვლავ მოისურვეს დიდის გადაბირება, მაგრამ მტკიცე უარი მიიღეს. ხანდაზმულმა ფეხბურთელმა კვლავ აიღო თავის თავზე „დირიჟორის“ მოვალეობის შესრულება ეროვნულ ნაკრებში, სადაც მას ზოგჯერ ცვლიდა „ახალი დიდი“ — ჭაბუკი ფეხბურთელი ჩინეზინიო („პატარა ჩინელი“), მაგრამ მწვრთნელი ვ. ფეოლა მიიჩნევდა, რომ ვეტერანი ჯერ ისევ ჯობია ახალგაზრდა ოსტატს. ვ. ფეოლას არგენტინაში გადასვლამ და გუნდის სათავეში ა. მორეირას დაყენებამ ნაკრებში ერთგვარი ცვლილებები გამოიწვია. დიდის პოსტს ერთბაშად ოთხი (!) ჭაბუკი ოსტატის კანდიდატურა დაუპირისპირდა და დღესაც ნათელი არ არის, ითამაშებს თუ არა მორიგ მსოფლიო ჩემპიონატში „შვეციის გმირი“.

დიდი ჯერჯერობით წარმატებით თამაშობს თავის საკლუბო გუნდ „ბოტაფოგოში“, რომელიც დამაჯერებლად ლიდერობს რიო-დე-ჟანეიროს შტატის ჩემპიონატში. ამ გუნდის წარმატებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ვეტერანები: ნ. სანტოსი, ზაგალო და მათი შედარებით ახალგაზრდა პარტნიორი გარინჩა.

...ჭიდაობენ ... ...ში

ჩოხატაური

26-ზე მეტი საკოლმეურნეო გუნდი მონაწილეობდა ჩოხატაურის რაიონის პირველობაზე ფეხბურთში.

შეჯიბრება წარმატებით ჩაატარეს ჩაისუბნის კოლმეურნეობის ფეხბურთელებმა, რომლებმაც დაიკავეს კიდეც პირველი ადგილი. მეორე ადგილზე გამოვიდა ჩოხატაურის კოლმეურნეობის გუნდი. გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ სიგელები.

დ. გურგენიძე

✦

ზუგდიდი

ზუგდიდის რაიონში 5 თვეს გასტანა საკოლმეურნეო გუნდების შეჯიბრებამ ფეხბურთში. გათამაშებაში მონაწილე 28 გუნდი დაყოფილი იყო ზონებად, რომელთაგან ფინალში გადიოდა 10 გუნდი.

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ანაკლიის მერძეველობა-მეკამეჩეობისა და ინგირის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფეხბურთელები.

ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს ანაკლიელებმა და მოიპოვეს რაიონის ჩემპიონის საპატიო სახელი.

ბ. ალშიბაია

...

...ეგ ...ეს ...ში. ...ეს ...ეს ...ეს